ტრენინგი -Edmodo, ვირტუალური საკლასო ოთახი

ჩამტარებელი ორგანიზაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
ადგილი და ხანგრძლივობა: ქ. თბილისი, მასწავლებლის სახლი , 13-14 ნოემბერი, 2013 წელი, 6 საათის ხანგრძლივობით.
მიზანი : საქართველოს სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისებისა და გამოყენების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს სასწავლოპროცესში ისტ-ის ინტეგრირებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მასწავლებელთაპროფესიული სტანდარტების შესაბამსად.
ამოცანები :

- n სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- n გაკვეთილის ორგანიზება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

რეზიუმე : ტრენინგის დახმარებით გავიგე, რომ Edmodo
უფასო განათლების უსაფრთხო სოციალური ქსელია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, სკოლებისთვის, რომ მისი დახმარებით მარტივად შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირება, იდეების გაცვლა, საშინაო დავალებების მომზადება მოსწავლეებისათვის, კლასისა და სკოლის განცხადებების გამოქვეყნება, რომ ის დაარსდა 2008 წლის ბოლოს და ახლა მას იყენებს მილიონობით მომხმარებელი, ტრენერმა აგვიხსნა, რომ ედმოდოს საშუალებით დახურული გარემოში მოსწავლეებს შეუძლიათ შეუერთდნენ ჯგუფებს მასწავლებლის მიწვევით, რომ მოსწავლეები ერთმანეთს ვერ უკავშირდებიან, მასწავლებელს აქვს მართვის კონტროლი. ედმოდოს დახმარებით შესაძლებელია დავალებების, კითხვების, გამოკითხვების და სხვა ინფორმაციის გამოქვეყნება, ჯგუფების შექმნა, დისკუსიებში მონაწილეობა.
ედმოდოს საშუალებით შესაძლებელია მშობლებიც აქტიურად ჩავრთოთ სასკოლო ცხოვრებაში, მშობელს შეუძლია ნახოს მხოლოდ საკუთარი შვილის აქტივობები, მშობელი აგზავნის შეტყობინებას მასწავლებელთან, იგი ხედავს მხოლოდ მისთვის განკუთვნილ შეტყობინებას.
ძალიან მომეწონა, რომ ედმოდოს საშუალებით შესაძლებელია დავალებებისა და ტესტების მომზადება, ონლაინ რეჟიმში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და ასევე ძალიან მოსახერხებელია ის, რომ მოსწავლეს აქვე შეუძლია მყისიერად შეამოწმოს თავისი ცოდნა და ნახოს , სად დაუშვა შეცდომები.
ასევე მოსახერხებელია, რომ ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელია საგნობრივ ჯგუფებში გაერთიანება და პროფესიული განვითარების ამაღლება, ჯგუფების შექმნა, ფორუმის წარმოება, დისკუსიებში მონაწილეობა, კითხვების დასმა, პასუხების მიღება, სხვათა გამოცდილების გაზიარება-გაცნობა.
არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ დაცულია უსაფრთხოების ყველა ზომა:

- ○ ყველა მოსწავლეს აქვს თავისი "ანგარიში"
- ○ მოსწავლეების შემოერთების შემდეგ ჯგუფში შესაძლებელი ჯგუფის ჩაკეტვა
- ○ შესაძლებელია ჯგუფის წევრების მონიტორინგი
- ○ გამოიყენება სტატუსი "მხოლოდ კითხვისთვის"

მნიშვნელობის დასაბუთება - ტრენინგი ჩემთვის მეტად ნაყოფიერი იყო. ტრენინგისდახმარებით ჩემი ზედაპირული ცოდნა ამ საკითხებთან დაკავშირებით უფრო საფუძვლიანი გახდა, დავრწმუნდი მათი გამოყენების აუცილებლობა - საჭიროებაში. მივხვდი,რომ მასწავლებელს სჭირდება მუდმივ დინამიკაში ყოფნა, რათა არ შეჩერდეს მისი პროფესიული ზრდა -განვითარება. ტრენინგის დასრულების შემდეგ გავაცნობიერე

ისტ-ის გამოყენების მნიშვნელობა თანამედროვე,კონსტრუქტივისტულ პედაგოგიურ მიდგომებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესში;
ამ ტრენინგზე მიღებული ცოდნის საშუალებით შევძლებ ისტ-ის გამოყენებას სასწავლო ერთეულის(გაკვეთილი ან თანამშრომლობითი სასწავლო პროექტი) ამოცანების შესაბამისად, კერძოდ:
ისტ-ის გამოყენებას სასწავლო პროცესის დასაგეგმად;
ისტ-ის გამოყენებას სასწავლო რესურსების მოსამზადებლად (შემუშავება, ადაპტირება,რედაქტირება და სხვ.);
სწავლა-სწავლების წარმართვას ისტ-ით გამდიერებულ სასწავლო გარემოში;